საქართველოს მთავრობა

№ 05-2/189
30.09.2022
1344

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე, 66-ე მუხლებისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგენთ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად, დოკუმენტს - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენებას - „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონების პროექტებს: „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე - „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ლაშა ხუციშვილი,

ხოლო საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე - გიორგი კაკაურიძე. ასევე, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონების პროექტებზე: „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე - გიორგი კაკაურიძე.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ძ[4]" ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 198-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ თავდაცვის ძალების რაოდენობას.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე - გრიგოლ გიორგაძე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

N31508
30.09.2022